# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №52

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 03/10/2019 წ

სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 19:36 სთ

სხდომის თავმჯდომარე - გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი; (სხდომის თავმჯდომარე)

2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი)

3. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

4. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

5. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

8. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;

9. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

10. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

11. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

12. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სხდომაზე დამსწრე პირები

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ქრისტინე აბულაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | დავით ჭინჭარაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 2 | თამაზ ჭუმბურიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 3 | ირინე კვაჭაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 4 | დალი ბერაშვილი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი | I |
| 5 | ალიოშა ბაკურიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე | I |
| 6 | ირაკლი მანველიძე | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | II |
| 7 | ლევან ჯაყელი | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი | II |
| 8 | მაკა ბერიძე | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | რექტორი | III |
| 9 | ცისკარა ზარანდია | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე | III |
| 10 | როინ თათეშვილი | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | III |

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | ნანა ჯღარკავა | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის თანახელმძღვანელი | III |
| 12 | მალხაზ მაკარაძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, ბრიგადის გენერალი | IV |
| 13 | გიორგი მეშველიანი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი | IV |
| 14 | ჯიმი კეკელაშვილი | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | IV |
| 15 | გივი სანაძე | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი, ,,მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 16 | ნათია მიქელთაძე | შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V-VIII |
| 17 | ქეთევან გოლეთიანი | შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი | ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი | V-VIII |
| 18 | ეკატერინე მუსხაჯბა | შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი | საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი | V-VIII |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | დანილო კორადინი | ჩაერთო Skype-ით | I |
| 2 | ნანა შაშიაშვილი | | I |
| 3 | ნინო ბარათაშვილი | | I |
| 4 | ლანა ბოკუჩავა | | I |
| 5 | ნინო დოლიძე | | II |
| 6 | ნინო ნოზაძე | | II |
| 7 | დავით ასლანიშვილი | | III |

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | ნინო ტალიკაძე | | III |
| 9 | მამუკა ბენაშვილი | | IV |
| 10 | ვალერი ჯაჯანიძე | | IV |
| 11 | სალომე ონიანი | | IV |

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
6. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,გემის მექანიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
7. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
8. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

შუამდგომლობის ინიციატორი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
6. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,გემის მექანიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
7. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
8. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ფარმაცია |
| 2 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 27 მაისი, 2014წ; №116 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | ფარმაცია |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | დოქტორანტურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[5] | მე-8 |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ფარმაციის დოქტორი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | ,,-------------------" |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0916 ფარმაცია |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0903 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |

---

1 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
2 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
3 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
4 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
5 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
6 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
7 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 13 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო, 0186 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, სასწავლო კორპუსი IV |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | ,,------„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

გაიანე სიმონია, ხათუნა თოდაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

საერთაშორისო ექსპერტმა, დანილო კორადინიმ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის მეშვეობით შეაჯამა განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტი. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შეესაბამება ევროპული სადოქტორო პროგრამების სტანდარტებს, უნივერსიტეტი პროგრამის განსავითარებლად სათანადოდ არის აღჭურვილი, აღნიშნული მიზნისთვის აკადემიური პერსონალიც მზადაა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საქმეში

---

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

ინსტიტუციის წვლილზე, რაც მისი აზრით საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოვებისთვის მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის. მისი თქმით, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განვითრებისთვის უმნიშვნელოვანესია ფინანსური და მატერიალური ნაწილი. დასაფასებელია, რომ წამლის შესაქმნელად პროგრამა ორიენტირებულია ბუნებრივი წყაროები გამოიყენოს.

ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამისთვის უნივერსიტეტში კარგი ბაზაა შექმნილი, რის გამოც მან საგანმანათლებლო პროგრამა ყველა სტანდარტთან მიმართებით „სრული შესაბამისობით“ შეაფასა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ პროგრამას არ აქვს რეკომენდაციები და რჩევები. ის დაინტერესდა იმით, მიაჩნია თუ არა დაწესებულებას, რომ პროგრამა სრულყოფილია და მას არანაირი ნაკლი არ გააჩნია.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია**

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღეს ფარმაციის სფეროში აბსოლუტურად სხვა გამოწვევები დგას. არსებული წამალთფორმები მომავალში მისაღები და გამოყენებადი აღარ იქნება. შესაბამისად, ინსტიტუციის ნანოტექნოლოგიები მიმართულია ახალი წამალთფორმების გამოყვანისკენ. მისი თქმით, პროგრამა ერასმუსის პროექტების აქტიური მონაწილეა, თუმცა მისი განვითარებისათვის საჭიროა უცხოელი პროფესორების მხრიდან მეტი ჩართულობა, ასევე კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით საერთაშორისო გამოცდილება. მან აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით მეტი სამუშაოა განსახორციელებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა კვაჭაძემ დაამატა, რომ მნიშვნელოვანია დოქტორანტების სტუდენტურ ცხოვრებაში მეტი ჩართულობა, რაც არ ხერხდება მათი გრაფიკიდან გამომდინარე, რადგან ისინი დასაქმებულები არიან. მისი თქმით, მომავალში ინსტიტუცია ეცდება მეტი სტუდენტური აქტივობის განხორციელებას.

**დისკუსია**

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა სამეცნიერო ნაშრომის შემუშავების მეთოდოლოგიით არჩევითი საგნების ნუსხაში, კერძოდ რატომ თვლის ინსტიტუცია, რომ ეს საგანი არჩევითი და არა სავალდებულო საგნების ნუსხაში უნდა იყოს, გარდა ამისა, მან იკითხა თუ როგორ ფასდება დისერტაცია და მიუთითა ქულობრივი შეფასების სისტემაზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მინისტრის მესამე ბრძანებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომის შედგენის მეთოდიკას სტუდენტები ბაკალავრიდან დაწყებული სწავლობენ. მაგალითად, სტუდენტები ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე გადიან ისეთ საგნებს, როგორიცაა აკადემიური წერა, ბიოსტატისტიკა და სხვა. ხოლო დოქტორანტურაზე სამეცნიერო ნაშრომის შემუშავების მეთოდოლოგია არჩევითი საგანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა უნივერსიტეტებიდან მოდიან სასწავლებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შემფასებლებთან დაკავშირებით არის სამი ექსპერტი. თუ უმრავლესობის დასკვნა უარყოფითია, დოქტორანტს უფლება აქვს გაიწვიოს ნაშრომი ან მოითხოვოს მისი საჯარო დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა კვაჭაძემ ქულობრივ შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქულობრივი შეფასება იწერება კონკრეტულ სადისერტაციო ნაშრომში.

სხდომის თავმჯდომარე

*ხელმოწერა*

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლური აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ეწინააღმდეგება მინისტრის ბრძანებას, თუმცა ქულობრივი შეფასების სისტემა შეიძლება ძალიან მარტივად ჩასწორდეს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 16:38 სთ
დამთავრების დრო - 16:45
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | ფარმაცია |
| 2 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 27 მაისი, 2014წ; №116 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | ფარმაცია |

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | დოქტორანტურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[14] | მე-8 |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ფარმაციის დოქტორი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | ,,-------------------„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0916 ფარმაცია |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0903 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 13 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო, 0186 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, სასწავლო კორპუსი IV |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | ,,------„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | საჯარო მმართველობა |
| 2 | სტატუსი[20] | ახალი |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | „-----„ |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | „------„ |

---

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[23] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | საჯარო მმართველობის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | „-----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 Local public administration - ადგილობრივი საჯარო ადმინისტრირება/ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „------„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-------„ |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

---

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მძლავრი ელექტრონული სისტემა გააჩნია. აღსანიშნავია ახალ პროგრამებზე ხარისხის სამსახურის მუშაობის ფორმა. მისი თქმით, პროგრამის შემუშავების პროცესი, რომელიც 1 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, დეტალური და ორგანიზებული იყო.

მან აღნიშნა, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ, მხოლოდ ერთი სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. მართალია რამდენიმე სილაბუსთან დაკავშირებით იყო შენიშვნა, თუმცა ეს არ არის დაუძლეველი რეკომენდაცია. ექსპერტმა ასევე აღინიშნა რამდენიმე საგანი, რომელიც ძირითადი საგნების ჩამონათვალში უნდა იყოს, მაგალითად: „სოციალური კვლევის მეთოდები“. მისი თქმით, რადგან საბაკალავრო ნაშრომსა და პრაქტიკას სტუდენტი შედეგზე გაჰყავს, შესაბამისად ეს არსებითად მნიშვნელოვანია.

ასევე, სხვა საგნებთან დაკავშირებით გაცემულია რამდენიმე რჩევა. 2017 წელს ძალაში შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, შესაბამისად ექსპერტის აზრით უკეთესი იქნებოდა, რომ ისეთ კურსებში როგორებიცაა „საჯარო მმართველობა“, „ სახელმწიფო მართვა“ და სხვ., აღნიშნული კანონი შედიოდეს, თუნდაც დამატებითი საკითხავი ლიტერატურის სახით.

ექსპერტის თქმით, შესავალი თემები ძალიან ზოგადი ხასიათისაა, რომელიც იმეორებს საჯარო მმართველობის თემებს. მან აქვე დაამატა ისიც, რომ რთულია იმის თქმა, რას მოიცავს ეს თემა და გადაფარვა ხდება თუ არა. მაგალითად, „საჯარო ფინანსები“, რომელიც რამდენად დეტალურად და სიღრმისეულადაა განხილული ერთ ან მეორე შემთხვევაში, არაა ცნობილი. ასევე, ლიტერატურის თვალსაზრისით, „პერსონალის შერჩევის და მართვის“ კურსი ეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის კანონს. ექსპერტის თქმით, ამ თვალსაზრისით ლიტერატურა გასაახლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა ლიტერატურის განახლების საჭიროება მხოლოდ ამ საგანში შენიშნეს თუ არა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან ინგლისური ენა სავალდებულო სახით ისწავლება, შესაძლებელია ინგლისურენოვანი წყაროების უახლესი ლიტერატურის სახით შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მაგალითად „სამეწარმეო სამართალში“ საკმაოდ მოძველებული ლიტერატურაა მითითებული, შესაბამისად, მისი თქმით ლიტერატურა გასაახლებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში 2010 წლის წიგნებიც არის, თუმცა ეს სამი ბლოკია და მათზე სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა იმუშავეს. თუმცა, ლიტერატურა არსებობს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს რეკომენდაცია მიღებულია, თუმცა მან აღნიშნა, რომ ეს ბიბლიოთეკის პრობლემა ნამდვილად არ არის, რადგან ბიბლიოთეკაში რესურსები და უახლესი ლიტერატურა არსებობს. მისი აზრით, აზრთა პაექრობა პროგრამის განვითარებისკენ მიმართული პროცესია. პროგრამა კოლეგიალური პრინციპის საფუძველზე შემუშავდა და შესაბამისად არგუმენტირებულ პოზიციაში ჩამოყალიბდა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით რამდენიმე მიმართულებით (სამოხელეო სამართლის, სამეწარმეო სამართლის, საკონსტიტუციო სამართლის და ა.შ) არის ძველი ლიტერატურა. რაც შეეხება საკვალიფიკაციო კოდს, მისი თქმით, საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო კოდი შეიცვალა, შესაბამისად „საჯარო მმართველობა“ ბიზნესისა და მენეჯმენტის ქვეშ მოიაზრება. შესაბამისად, იგი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაინტერესდა, ამ მოცემულობიდან გამომდინარე, თუ როგორ იყო სტრუქტურა წარმოდგენილი. მან ისიც აღნიშნა, რომ პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და სხვადასხვა მიმართულებებიდან გააჩნია 40-40 კრედიტი, თუ 120 კრედიტია მთავარი სპეციალობა და შემდეგ დაშენებულია სხვადასხვა მიმართულებებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის ნამდვილად ინტერდისციპლინური პროგრამა, რაც შინაარსობრივადაც ორგანიზებულია.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა უპასუხა, რომ რადგან შეიცვალა მისი ადგილი და ინტერდისციპლინურიდან გადავიდა მენეჯმენტისა და მართვის კლასიფიკატორში, ამის მიხედვით ხომ არ უნდა შეიცვალოს სისტემა და პროგრამის შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მათ ცენტრის წარმომადგენლებთან კონსულტაციები გაიარეს, შესაბამისად ამის მიხედვით მიანიჭეს კლასიფიკატორი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი შენიშვნა ის იყო, რომ ადამიანური რესურსების მართვა ცალკე საგნად ყოფილიყო. თუმცა, შემდეგ დაადგინეს, რომ ეს ყველაფერი სხვადასხვა საგნების შინაარსში მოიაზრება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დამატებით კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა თუ როგორ იყო კრედიტები გადანაწილებული.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მიმართულებებს შორის კრედიტები თანაბრად არის გადანაწილებული.

ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ თუ კი პროგრამა ინტერდისციპლინურ ბლოკში არ არის კლასიფიკატორის მიხედვით, კრედიტები ასე თანაბრად გადანაწილებული არ უნდა იყოს, არამედ მთავარი სპეციალობის უნდა იყოს 120 კრედიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ როდესაც პირველად შემოიტანეს აკრედიტაციის განაცხადი, კლასიფიკატორში ინტერდისციპლინური იყო მითითებული, თუმცა განაცხადი დახარვეზდა და კლასიფიკატორი ცენტრის რეკომენდაციით შეიცვალა.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, ნინო ლიპარტია 16:54 სთ-ზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მენეჯმენტი და მართვა პროგრამის სტრუქტურის რაობას არ ზღუდავს.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით ბევრი საგანია წარმოდგენილი და ეს მისასალმებელია. თუმცა, სახელმძღვანელოების მიხედვით წარმოდგენილი სილაბუსები არშემდგარია, რადგან არ შეესაბამება დღეს მოქმედ სამართალს. ასევე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ითვალისწინებს არც ერთი სილაბუსი. მისი თქმით, შეუძლებელია, რომ სამოხელეო სამართალსა და შრომის სამართალში ამ გადაწყვეტილებების გარეშე საგნის მიზანი იყოს მიღწეული. მისი აზრით, რეზიუმეს სახით, თითქმის ყველა სამართლის სილაბუსი გადასახედია და თავიდან არის გასაკეთებელი. ვინაიდან სილაბუსს რამოდენიმე ადამიანის სახელი და გვარი ეწერა, იგი დაინტერესდა თუ რომელი იყო მათგან პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი დოქტორანტი იყო და შესაბამისად მიეთითა პროგრამის ხელმძღვანელიც.

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 17:16 სთ

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დამთავრების დრო - 17:30 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის შემდეგ მონიტორინგის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და აკრედიტაციის მაძიებელს დამატებით მისცა შემდეგი რეკომენდაციები: ა) სამართლის ბლოკში არსებული სილაბუსების ლიტერატურის ჩამონათვალის განახლება; ბ) ადამიანური რესურსების გაძლიერება, შესაბამისი კვალიფიკაციების პირთა მოწვევა.

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის შემდეგ მონიტორინგის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | საჯარო მმართველობა |
| 2 | სტატუსი[29] | ახალი |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | ,,-----„ |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | „------„ |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | ბაკალავრიატი |

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 6 | კვალიფიკაციის დონე[32] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | საჯარო მმართველობის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | „-----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 Local public administration - ადგილობრივი საჯარო ადმინისტრირება/ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[34] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[35] | საქართველო 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „------„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-------„ |

3. მესამე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | ეკონომიკა |
| 2 | სტატუსი[38] | აკრედიტირებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 19 ნოემბერი, 2014წ, №207 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39] | ეკონომიკა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[40] | ბაკალავრიატი |

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 6 | კვალიფიკაციის დონე[41] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ეკონომიკის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42] | „------„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0311 ეკონომიკა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[43] | 0311 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[44] | საქართველო 0800, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №122, უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „---„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

---

[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

## ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა წარმოადგინა ვიზიტის შედეგები და აღნიშნა, რომ მთლიანობაში პროგრამა საკმაოდ კარგი დონისაა. თუმცა, გაიცა რიგი რეკომენდაციები, მაგალითად პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა კურსდამთავრებულების დასაქმებას, კერძოდ ეკონომიკის კურსდამთავრებულები საქმდებიან ბიზნეს-ადმინისტრირების განხრით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამსაქმებლებთანაც იყო შეხვედრა და დადგინდა, რომ მათ არ აქვთ ეკონომისტებზე მოთხოვნა, რადგან ის არის უფრო ანალიტიკოსი, მკვლევარი. ეკონომიკის მიმართულებით არის სახელმწიფო გრანტი, რაც ფინანსურად მომგებიანია მომავალი სტუდენტებისთვის. თუმცა, ისინი მაინც საქმდებიან ბიზნეს-ადმინისტრირების სფეროში. ექსპერტის თქმით, პროგრამაში რამდენიმე სასწავლო დისციპლინაა დასამატებელი. აუცილებელია შედეგზე გასვლაზე მაქსიმალური ფოკუსირება, რათა სტუდენტები დასაქმდნენ ეკონომისტებად. მისთვის საინტერესოა რატომ აფინანსებს სახელმწიფო ამ კუთხით სტუდენტებს, თუ ისინი ეკონომისტები არ გამოდიან.

მან მეორე სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ „მეტწილი შესაბამისობით" შეფასდა. მისი თქმით, სასურველია სხვა უცხო ენების, რუსული, გერმანული ენების სწავლების შეთავაზება მაღალ - B1, B2 დონეებზე. ექსპერტის თქმით, სამეწარმეო სამართლის საფუძვლებსა და ბიზნესის სამართლის საფუძვლებს შორის ადგილი აქვს გადაფარვას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.3 ქვესტანდარტი სრულ შესაბამისობაშია. 2.4 ქვესტანდარტი კი სამეცნიერო კვლევითი კომპონენტია. შესაბამისად, აქ აღინიშნა აკადემიური პერსონალის უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის განხრით მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა. იქნება ეს ერასმუსი, თუ სხვა გაცვლითი პროგრამები, პირდაპირ რეგიონულ უნივერსიტეტებზეა გათვლილი. უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამები, მაგრამ ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონის გამო ვერ ხდება პერსონალისა და სტუდენტების ჩართვა. მან დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი პასიურობს ადგილობრივ დონეზეც. ასევე, პროფესორები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებშიც კი (ასეთი საქართველოში 4-ია) არ აქვეყნებენ. ისინი არ უნდა იყვნენ ჩაკეტილი თავის წრესა და რეგიონში. მისი თქმით, ამ დონეზე მაინც თუ მოხდება კვლევების გამოქვეყნება, კარგი იქნება.

სხდომის თავმჯდომარე, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესდა სტუდენტთა ეკონომისტების პროფილით დაუსაქმებლობის მიზეზით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რეგიონსა და ქვეყანაშიც ეკონომისტებზე დაბალი მოთხოვნაა.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ დარჩენილ რეკომენდაციებში არ იყო ძნელად აღმოსაფხვრელი პრობლემა. მისი თქმით, უნივერსიტეტს ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს და უკეთესი იქნება ამის სწავლების პროცესთან კოორდინაციაში მოყვანა.

2.6 ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომ გადაიხედოს დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები. მეოთხე სტანდარტში კი გათვალისწინებულ იქნა რჩევები. ბიუჯეტთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ იგი სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

## საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტში მთავარი მოტივაცია დასაქმების პრობლემის შეფასება იყო. ვინაიდან, პროგრამას კურსდამთავრებულები არ ჰყავს, შესაბამისად ჯერ ამის შესახებ ინსტიტუცია დასკვნას ვერ გააკეთებდა. როგორც მან აღნიშნა, ინსტიტუცია დასაქმების შესახებ კვლევას ერთი წლის შემდეგ დაიწყებს.

სხდომის თავმჯდომარე

_______________

ხელმოწერა

მისი აზრით, სახელწიფო გრანტის პროგრამას აქვს დიდი მნიშვნელობა, თუმცა ეს ხორციელდება ახალქალაქშიც, რაც მნიშვნელოვანია, რადგან სომეხი მოქალაქეები სწორედ ეკონომიკისა და ქართული ფილოლოგიის პროგრამებს ირჩევენ. მისი თქმით, 2019 წელს ჩაირიცხა 23 სტუდენტი, რადგან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობა შემცირდა.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიწყო პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. მისი თქმით, პერსონალისთვის წინა წლის განმავლობაში ინგლისური ენის კურსები იყო გახსნილი და აღნიშნული კურსები კვლავ გაგრძელდება. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი დოქტორანტებს, რომლებისთვისაც სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა, თვითონ ამზადებს და ისინი ჩაერთვებიან სასემინარო მუშაობებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებას არ ირჩევს, ვინაიდან მაინორის არჩევის დროსაც მას აქვს არჩევანის თავისუფლება. მისი თქმით, დაწესებულება მუშაობს, რომ მეტი პოპულარიზაცია გაუწიოს ინგლისური ენის ფილოლოგიას, როგორც მაინორ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ცისკარა ზარანდიას თქმით დაწესებულება რჩევებისა და რეკომენდაციების დიდ ნაწილს იზიარებს. პროგრამის მიზნების შესახებ კი აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიასთან თანხვედრაშია. მისი თქმით, ამას ადასტურებს მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მიზნები სწორადაა ჩამოყალიბებული.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა თუ რატომ არ მუშაობენ სტუდენტები ეკონომიკის განხრით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეკონომიკურ პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებაა, ხოლო ბიზნესის მიმართულებით კი მათ სახელმწიფო გრანტი უნდა მოიპოვონ. მისი თქმით უნივერსიტეტში ისწავლება: მიკრო და მაკრო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა. რაც შეეხება იმას, რომ მოდელირება ცალკე საგნად უნდა იყოს წარმოდგენილი, აღნიშნულს დაწესებულება არ იზიარებს, რადგან მისი თქმით, ჩამოთვლილ საგნებში წარმოდგენილია მოდელირების კომპონენტები. თუცა, დაამატა ისიც, რომ არჩევითი საგნის სახით მაინც იქნება შეთავაზებული. მან აღნიშნა, რომ ფინანსური მენეჯმენტი ბიზნესზეც არის წარმოდგენილი, თუმცა აუცილებელია, რომ ეს ეკონომიკის სტუდენტებმაც ისწავლონ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა მათი პოზიციით ბიზნესის ადმინისტრირების საგნებში შენიშნულ გადაკვეთასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ცისკარა ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ეცდება სტუდენტებს პარალელურად სხვა თემები შესთავაზოს. ასევე, მისი თქმით, მაინორში, კორპორაციული ფინანსები არჩევითშია. მან ჯამში, ნაწილობრივი შეფასება სწორად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი 2.2 ქვესტანდარტის რეკომენდაციები უფროა, ვიდრე 1.1-ის. მან აღნიშნა, რომ თუ ეკონომიკის სტუდენტი მაინორ პროგრამად არ აირჩევს ბიზნეს ადმინისტრირებას, ეს თემები დაუფარავი დარჩება.

საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა ამ მოცემულობით პროგრამა გადიოდა თუ არა შედეგზე.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ შედეგზე პროგრამა გადის, თუმცა გადაფარვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. მისი თქმით, სტუდენტი მაინორის არჩევის შემთხვევაში, ფაქტობრივად ორჯერ-სამჯერ გადის ერთი და იმავე საგანს.

საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა თუ მაინორის არჩევის შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტს რას შესთავაზებდა.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, ცისკარა ზარანდიამ აღნიშნა, რომ არსებობს ისეთი თემები, რომლებიც საჭიროა ისწავლებოდეს ორივე მიმართულებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული საგნები მაინორის შემთხვევაში გადადის არჩევითში და სტუდენტი მათ არ აირჩევს.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა აღნიშნა, რომ „კორპორაციული ფინანსები“ და „ფინანსური მენეჯმენტი“ მთლიანად იმეორებს ერთ სილაბუსს.

საბჭოს მდივანი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, თუ რა პოზიცია ჰქონდათ ექსპერტებს ლიტერატურასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა უპასუხა, რომ გათვალისწინებული იყო მეტ-ნაკლებად ახალი წიგნები, მოძველებული ლიტერატურა არ იყო.

საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ სამეწარმეო სამართლისა და შრომის სამართლის სილაბუსებში მითითებული იყო იმდენად ძველი ლიტერატურა, რომ ეს ორი სილაბუსი სტუდენტს შედეგზე ვერ გაიყვანს. მან კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა სტუდენტების შემთხვევაში ინტერნაციონალიზაციის პროცესით.

ექსპერტმა, დავით ასლანიშვილმა კი უპასუხა, რომ სტუდენტებმა არ იციან ინგლისური. მათ არ შეხვედრიათ ისეთი სტუდენტი, რომელსაც გაცვლით პროგრამაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ამასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა უფრო მეტ რესურსს დახარჯავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ეცდებიან განავითარონ ეს კომპონენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, როინ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს პროფესორები, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობაში ვერ ღებულობენ მონაწილეობას. უკვე მეორე წელია უნივერსიტეტი ამზადებს პროფესორებს ინგლისურ ენაში. მისი თქმით, გამოსაქვეყნებლად, კონფერენციებში მისაღებად 35 000 ლარი თანადაფინანსებაა გამოყოფილი. მან აღნიშნა, რომ ელოდებიან სამ თემას, რომლებიც საერთაშორისო ჟურნალში უნდა გამოქვეყნდეს.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა ბაზრის კვლევის შედეგებით, რეალურად თუ რამდენად იყო კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ უპასუხა, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, ნებისმიერ ვაკანსიაზე მინიმუმ 9 ვაკანსია მათი კურსდამთავრებულების მიერ არის შევსებული.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა ამ კონკრეტული სპეციალობისთვის თუ ჩაატარა დაწესებულებამ ბაზრის კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ დასაქმების პერსპექტივა 56%-ია.

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 18:17 სთ

დამთავრების დრო - 18:20 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდეგ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები აკრედიტაციის მაძიებელს დამატებით მისცა შემდეგი რეკომენდაციები: ა) სამართლის ბლოკში არსებული სილაბუსების ლიტერატურის ჩამონათვალის განახლება (მათ შორის სამეწარმეო სამართლისა და შრომის სამართლის ირგვლივ არსებული ლიტერატურა); ბ) ბიზნესის ადმინისტრირების საგნების გადაფარვის აღმოფხვრა.

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის შემდეგ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46] | ეკონომიკა |
| 2 | სტატუსი[47] | აკრედიტირებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 19 ნოემბერი, 2014წ, №207 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48] | ეკონომიკა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[49] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[50] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ეკონომიკის ბაკალავრი |

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51] | „------" |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0311 ეკონომიკა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[52] | 0311 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[53] | საქართველო 0800, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №122, უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „----„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ სხდომა დატოვა 18:21 საათზე.

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55] | მექანიკის ინჟინერია |
| სტატუსი[56] | ახალი |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | „-----„ |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57] | „-----„ |
| უმაღლესი განათლების საფეხური[58] | ბაკალავრიატი |

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| კვალიფიკაციის დონე[59] | მეექვსე |
| კვალიფიკაციის დასახელება | ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60] | „-----„ |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0715 მექანიკა და ლითონის საქმე |
| კვალიფიკაციის კოდი[61] | 0715 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 257 |
| განხორციელების ადგილი[62] | საქართველო 1400, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ, აკადემიის სასწავლო კორპუსის N5,10 |
| ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „-----„ |
| აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63] | „-----„ |
| აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

---

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ________ ხელმოწერა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 19 აგვისტოს. მისი თქმით, ვიზიტმა მშვიდ გარემოში ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა პროგრამის შემოწმებისას გამოიკვეთა რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობა. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ 10 რეკომენდაცია და 5 რჩევა გაიცა. პროგრამა 5 სტანდარტიდან სამ სტანდარტთან მიმართებით მეტწილად შესაბამისია, ხოლო 2 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია.

მან აღნიშნა, რომ პროგრამა ჯამში 257 კრედიტიანია. სტრუქტურა კი 2 სტანდარტის მიხედვით არის შედგენილი (განათლების სტანდარტისა და ნატოს სტანდარტის მიხედვით). საერთო საჯარისო მართვას ეთმობა 79 კრედიტი, რომელთა ქვეშ არის სალექციო კურსი და საველე წვრთნები. ექსპერტებს მოეჩვენათ, რომ აღნიშნული დიდი დატვირთვაა სტუდენტებისთვის. მისი თქმით, ასეთი მიდგომა შინაარსს აცდენილი არ არის, თუმცა ჯამური დატვირთვა ბევრია ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სტუდენტებს მოსამზადებლად და ინდივიდუალური მუშაობისთვის საკმარისი დრო არ ექნებათ.

რაც შეეხება მინიმალურ მოთხოვნას, როგორც მან აღნიშნა, 120 კრედიტი არის დაცული. რეკომენდაციები კი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ჩამოყალიბდეს უშუალოდ და უფრო მკაფიოდ მექანიკის ინჟინერიის მიმართულებით პროგრამის მიზნები; შემცირდეს პროგრამის საერთო მოცულობაში თავისუფალი კომპონენტის „საერთო საჯარისო მართვის" წილი; გაიზარდოს მასალათა გამძლეობის, თერმოდინამიკისა და მანქანათა კონსტრუირების მოცულობა, დაემატოს კომპიუტერული პროგრამირების სწავლების ელემენტები; მოეწყოს გრძელვადიან პერსპექტივაში აკადემიის ტერიტორიაზე ის ლაბორატორიები, რომლებიც დღეის მდგომარეობით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე ტარდება; დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შედეგის მისაღწევად გამოსაყენებელი სწავლის მეთოდები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, გენერალმა მაკარაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ თავდაცვის აკადემიის მიზანია ქვეყნისთვის მებრძოლების გაზრდა. მისი თქმით, ბოლო სამი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია ამ პროგრამის შესაქმნელად და საბოლოოდ ასეთი ფორმით ჩამოყალიბდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიის ფარგლებში ყველა სასწავლო პროგრამის შემადგენლობაში 79 კრედიტიანი პროგრამაა. ზოგადად, თავდაცვის ძალების მისიაა თავდაცვის ძალებისთვის ოფიცერთა შემადგენლობა. ეს ითვალისწინებს გარკვეულ ნაწილს, რომელიც ასევე ინჟინერიაა. ეს არის ნატოს, საჯარისო ძირითადი მართვის პროგრამა და წარმოდგენილია უკვე შემცირებული, 79 კრედიტის სახით. გარდა ამისა იგი ჩვეულებრივად აკადემიური მიმართულებაა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესდა ხედავდნენ თუ არა ისინი რაიმე პრობლემას შედეგზე გასვლის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იუნკერებს რეჟიმი გააჩნიათ. თუმცა, შეზღუდულ დროში თავისუფალი დრო დაახლოებით 6,5 საათი გამოსდით, რომელიც შეუძლიათ მოსამზადებლად გამოიყენონ. მისი თქმით, სწავლის შედეგების მიღწევის მიღწევის მექანიზმები ფაქტობრივად თანხვედრაშია და რუკაზეც ჩანს, თუ რომელ სწავლის შედეგზე რომელი მექანიზმითა და მეთოდებითაა შესაძლებელი გასვლა. შეიძლება ეს პრობლემა იყო ცალკეულ სილაბუსებში, რომლის შესახებაც სილაბუსების ავტორებთან მოხდება გასაუბრება.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა გააგრძელა საუბარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით; რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მექანიკის მიზნების შესაბამისად, მათთვის მისაღებია. რაც შეეხება სწავლის შედეგების გამსხვილებას, მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით იყო კამათი, რის შედეგადაც იგი შეიცვალა და შემცირებული შედეგები უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი. ვინაიდან მესამე რეკომენდაცია გამომდინარეობს მეორედან (რუკა დატვირთული ფორმით იყოს წარმოდგენილი), შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით ეს თემა კარგად არის შესწავლილი და წარმოდგენილი და შესულია თავისუფალი კომპონენტის შემადგენლობაში. თერმო დინამიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ დაწესებულება ექსპერტებს დაეთანხმა, ხოლო როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მანქანათკონსტრუირების საგანზე გაკეთებულია მნიშვნელოვანი აქცენტი და დასავლური სტანდარტითაა გაკეთებული. მისი თქმით, ასევე არის ერთი საკურსო პროექტი, რომელიც წარმოადგენს ამ სასწავლო კურსის გაგრძელებას.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა ახალია, აკადემიური პერსონალი ახლა მოდის, მზადდება. რაც შეეხება ლაბორატორიებს, აღნიშნული ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ ესაა. მან განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, აკადემიის გარეთ არის სამი სასწავლო კურსი წარმოდგენილი - დელტა (პრაქტიკა, საწარმოო პროცესები, შესავალი მექანიკის ინჟინერიაში), მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში ხდება მასალათმცოდნეობის სწავლება. აკადემიის ბაზაზე შესაძლებელია არამარტო სამაგიდო ცდების, არამედ მეტად მასშტაბური ცდების ჩატარება. ასევე, შვიდ უნივერსიტეტთან დაიდო ხელშეკრულება. მან აღნიშნა, რომ სწავლების მექანიზმების დაკონკრეტებასთან დაკავშრებით გადახედეს სილაბუსებს და ამაზეც იმუშავებენ. აკადემიური პერსონალის ძირითადი ბირთვის შექმნის მიზნით კი დაამატა, რომ როდესაც დაიწყება პროგრამის განხორციელება, ასევე განხორციელდება აფილირება. მათ წინარე ხელშეკრულებები უკვე დადებული აქვთ და შერჩეულია პროგრამის ხელმძღვანელიც.

საბჭოს მდივანი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, ვინაიდან 6 პირადი საქმე იყო წარმოდგენილი, ეს პიროვნებები არიან აფილირებულები თუ კიდევ მოხდებოდა მათი არჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გარკვეული ნაწილი უკვე არჩეულია, ხოლო შემდეგ ახალი პერსონალიც დაემატება.

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 18:57 სთ

დამთავრების დრო - 19:03 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 11**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება**

✓ აკრედიტაციის შესახებ

სხდომის თავმჯდომარე

*ხელმოწერა*

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ასევე აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ,,მექანიკის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის შემდგომ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64] | მექანიკის ინჟინერია |
| სტატუსი[65] | ახალი |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | „-----„ |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66] | „-----„ |
| უმაღლესი განათლების საფეხური[67] | ბაკალავრიატი |
| კვალიფიკაციის დონე[68] | მეექვსე |
| კვალიფიკაციის დასახელება | ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69] | „-----„ |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0715 მექანიკა და ლითონის საქმე |
| კვალიფიკაციის კოდი[70] | 0715 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 257 |
| განხორციელების ადგილი[71] | საქართველო 1400, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ, აკადემიის სასწავლო კორპუსის N5,10 |
| ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „-----„ |

---

64 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

65 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

66 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

67 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

68 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

69 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

70 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

71 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72] | „-----„ |
| აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

5. **მეხუთე საკითხი**: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[73] | საზღვაო ნავიგაცია |
| სტატუსი[74] | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 07 დეკემბერი, 2018წ; №194 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[75] | „---„ |
| უმაღლესი განათლების საფეხური[76] | ბაკალავრიატი |
| კვალიფიკაციის დონე[77] | მეექვსე |
| კვალიფიკაციის დასახელება | საზღვაოსნო მეცნიერებების ბაკალავრი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[78] | „-----„ |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 1041 ტრანსპორტის მომსახურებები |
| კვალიფიკაციის კოდი[79] | 1110 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი[80] | საქართველო 6000; ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38 |
| გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2018 წლის 07 დეკემბერი |

---

[72] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[73] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[74] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[75] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[76] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[77] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[78] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[79] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[80] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

*ხელმოწერა*

| | |
|---|---|
| აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[81] | ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 09 დეკემბერი) |
| აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2025 წლის 08 დეკემბერი |

**6. მეექვსე საკითხი:** შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,გემის მექანიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[82] | გემის მექანიკა |
| სტატუსი[83] | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 07 დეკემბერი 2018წ; №195 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[84] | „---„ |
| უმაღლესი განათლების საფეხური[85] | ბაკალავრიატი |
| კვალიფიკაციის დონე[86] | მეექვსე |
| კვალიფიკაციის დასახელება | ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[87] | „------„ |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0716 საზღვაო ინჟინერია |
| კვალიფიკაციის კოდი[88] | 0419 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი[89] | საქართველო 6000, ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38 |
| გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2018 წლის 07 დეკემბერი |

---

[81] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[82] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[83] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[84] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[85] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[86] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[87] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[88] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[89] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

*ხელმოწერა*

| | |
|---|---|
| აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[90] | ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 07 დეკემბერი) |
| აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2025 წლის 07 დეკემბერი |

7. მეშვიდე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[91] | საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა |
| სტატუსი[92] | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 07 დეკემბერი, 2018წ; №196 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[93] | „----„ |
| უმაღლესი განათლების საფეხური[94] | ბაკალავრიატი |
| კვალიფიკაციის დონე[95] | მეექვსე |
| კვალიფიკაციის დასახელება | ტრანსპორტის ბაკალავრი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[96] | „-----„ |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| კვალიფიკაციის კოდი[97] | 0407 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი[98] | საქართველო 6000, ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38 |
| გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2018 წლის 07 დეკემბერი |

[90] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[91] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[92] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[93] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[94] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[95] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[96] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[97] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[98] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[99] | ანგარიშის წარმოსადგენად და მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 07 დეკემბერი) |
| აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2025 წლის 07 დეკემბერი |

**8. მერვე საკითხი:** შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[100] | სატრანსპორტო ლოგისტიკა |
| 2 | სტატუსი[101] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 16 იანვარი, 2019წ; №10 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[102] | „----„ |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[103] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[104] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სატრანსპორტო ლოჯისტიკის მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[105] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[106] | 040704 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[107] | საქართველო 6000, ქ. ბათუმი, მახინჯაური, ,თამარ მეფის გამზირი N38 |
| 14 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2018 წლის 10 დეკემბერი |

[99] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[100] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[101] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[102] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[103] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[104] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[105] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[106] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[107] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[108] | ანგარიშის წარმოსადგენად და მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 1 წელი (2019 წლის 10 დეკემბერი) |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2025 წლის 10 დეკემბერი |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა იშუამდგომლა რათა საბჭოს, ერთიდაიგივე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ოთხ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშები ერთად განეხილა. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შუამდგომლობას. მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ერთად განეხილათ დაწესებულების 4 ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხი და მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა ანგარიშები.

მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია მიქელთაძემ მოხსენება დაიწყო „საზღვაო ნავიგაციისა“ და „გემის მექანიკის“ პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვით და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია იყო, რომ პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის წესი ყოფილიყო იმგვარად ფორმულირებული, რომ მუდმივად ყოფილიყო შესაძლებელი სტუდენტების ჩართვა. მისი თქმით, შეიქმნა კურსდამთავრებულთა კლუბი, რომელიც ითვალისწინებს მათ პროცესიდან მოუწყვეტელ მონაწილეობას. განხორციელდა სასწავლო შედეგების რუკის ცვლილება, შესაბამისად რეკომენდაცია იმპლემენტირებულია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის მეთოდოლოგიას აქვს დანართები (საგანმანათლებლო პროგრამის რუკა, რომლითაც დგინდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრა). დაწესებულების მიერ ორივე რუკა და ზემოაღნიშნული დოკუმენტის დანართი წარმოდგენილ იქნა.

მეორე რეკომენდაცია გულისხმობდა შინაარსის შემოწმებასა და ლიტერატურის განახლებას, რაც მისი თქმით ფაქტობრივად შესრულებულია. მან განმარტა, რომ 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში გადაიხედა სილაბუსები. საზღვაო მიმართულების პროგრამების სილაბუსები საერთაშორისო საზღვაო

[108] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სტანდარტებთან და დარგის მარეგულირებელთან სრულ თანხვედრაში მოვიდა. აქედან გამომდინარე, სილაბუსების შინაარსი გარკვეული თვალსაზრისით ლიმიტირებულია.

მან დაამატა, რომ საოკეანო პრაქტიკა აუცილებელია, თუმცა 1 წლიანი საერთაშორისოდ აღიარებული საჭირო პრაქტიკის მაგივრად 6 თვიანი საერთაშორისო საზღვაო პრაქტიკაა განსაზღვრული, რადგან საქართველოს არ ჰყავს ფლოტი. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებმა კი ქვეყნის სიმცირისა და ქართველი მეზღვაურების რეპუტაციის გამო, ამის საშუალება მისცეს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა არსებობდა თუ არა ისეთი რეკომენდაცია, რომელიც არ/ან ვერ შეასრულეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ არსებობდა ისეთი რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ არ შეასრულა. რჩევა იყო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის ჩაწერა, რომელიც დაწესებულების მიერ მხოლოდ მაშინ იქნება გათვალისწინებული, როდესაც მიზნები გადაიხედება, მოდიფიკაციის შემდეგ ეტაპზე. მან აღნიშნა, რომ „გემის მექანიკის“ სასწავლო პროგრამაზეც ანალოგიური შენიშვნები იქნა გაცემული და იქაც ყველა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლოგისტიკის პროგრამების ხელმძღვანელმა ლოგისტიკის ფაკულტეტის პროგრამებზე წარმოადგინა ანგარიშის შედეგები. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა კრედიტების განაწილებასა და 5 კრედიტის პრინციპს. მიუხედავად ამისა, მეთოდოლოგია, რომელიც ამასთან დაკავშირებით შემუშავდა, ის იყო, რომ პროგრამა დადგა მთლიან მონიტორინგზე და საკონტაქტო საათებსა და დატვირთვას პროფესორები წარმოადგენენ, საათები კი პუნქტობრივადაა გაწერილი. ასევე, რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ დაკონკრეტებულიყო სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის საკითხი. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მემორანდუმში ასე კონკრეტულად ვერ ჩაიწერა ის, თუ რამდენ სტუდენტს მიიღებს დამსაქმებელი. მისი თქმით, წინასწარი მოლაპარაკებით შეირჩევა ბაზიდან პრაქტიკის განმახორციელებლები და სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა გაეგზავნებათ. შესაბამისად, ისინი ამ რაოდენობას ან მიიღებენ ან არ მიიღებენ. სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული დავალებების რაოდენობა კი ნამდვილად კონკრეტულად არის გაწერილი. მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა, ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ბიზნეს-ადმინისტრირების კვალიფიკაციაში გადის, შესაბამისად შინაარსი იცვლება.

მან აღნიშნა, რომ გაცემული იყო რჩევა, რათა მითითებულიყო რიდერების გვერდები, რაც ყველა სასწავლო კურსში მიეთითა. ასევე, ელექტრონულ ვერსიაში მითითებოდა ავტორები და მისი თქმით, ეს რჩევაც შესრულებულია. შემდეგი რჩევა ეხებოდა იმას, რომ დაწესებულებას მოეწვია ცნობილი პიროვნებები და ჩაეტარებინა საჯარო ლექციები, რაც ასევე შეასრულეს.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,გემის მექანიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,გემის მექანიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ,,სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი — ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი — სალომე თოთიბაძე